

ტექსტის ენობრივ - გამომსახველობით მხარეზე
მუშაობა ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სწავლებისას
სკოლაში

ირინე იაკობიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის
დიდაქტიკაში განათლების მაგისტრის სწავლების აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის
საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი

(საგნობრივი მიმართულება: ქართული ენა და ლიტერატურა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათელა მაღლაკელიძე - პროფესორი,
განათლების მეცნიერებათა დოქტორი ქართული ენის სწავლების
მეთოდოლოგიაში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014 წ.

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი თემაა: ტექსტის ენობრივ-გამომსახველობით მხარეზე მუშაობა ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სწავლებისას . ნაშრომი შედგება სამი თავისაგან: პირველ თავში განხილულია ის მეთოდოლოგიური ლიტერატურა, რომელიც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას შეეხება. აგრეთვე, გაანალიზებულია ძველი რეფორმამდელი სასკოლო სახელმძღვანელოები, ეროვნული სასწავლო გეგმა და ახალი სასკოლო სახელმძღვანელოები.

მეორე თავში განხილულია საენათმეცნიერო ლიტერატურა და კონკრეტული ტექსტების მაგალითზე ვაჟას მხატვრული ენის თავისებურებანი.

მესამე თავი მოიცავს კვლევას. საკითხის სათანადოდ შესწავლის მიზნით გამოვიყენეთ კვლევის როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მაჩვენებლები. ჩავატარეთ ანკეტირება, ჩამოვართვით ინტერვიუ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს.

განათლების რეფორმის შემდეგ ქართული ენა და ლიტერატურა ინტეგრირებულად ისწავლება სკოლაში, ენობრივი მასალა ლიტერატურასთან კავშირში ეცნობა.

ტექსტისადმი, როგორც ენობრივი ფენომენისადმი, დამოკიდებულება თანამედროვე გაკვეთილის აუცილებელ კომპონენტად მიგვაჩნია, რადგან ტექსტი უნდა გამოვიყენოთ, როგორც მწერლის მსოფლმხედველობის, სიტყვის ხელოვნების, ემოციურობის, სხვისი მეტყველების შეფასების საუკეთესო საშუალება და წყარო.

სხვადასხვა კუთხით გაანალიზებული ტექსტი ახალ-ახალ საფიქრალს უჩენს მოსწავლეს და ამით ტექსტისადმი კრიტიკული მიდგომის უნარს უვითარებს. მწერლის ენაზე დაკვირვება და მისი თავისებურებათა გამოვლინება-შესწავლა უნდა ემსახურებოდეს იმ მიზანს, რომ მოსწავლეები ღრმად ჩასწვდნენ მხატვრული ნაწარმოების იდეურ შინაარსს, გაარკვიონ მწერლის როლი სალიტერატურო ენის გამდიდრების საქმეში, თვალნათლივ დაინახონ, თუ როგორ ვითარდება ენა და რა როლს ასრულებენ ამ საქმეში ცალკეული

დიალექტები, რა მიმართებაა ხალხურ სასაუბრო მეტყველებასა და მწერლის ენას შორის, როგორ ასახავს ენის ლექსიკური შემადგენლობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს, როგორ იხვეწება ენის გრამატიკული წყობა და სხვ. ყოველივე ეს კი , ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს როგორც მოსწავლეთა მეტყველების კულტურის ამაღლებას, ისე _ მათ მიერ მხატვრული ტექსტის გააზრებასა და მწერლის ენობრივ-სტილური თავისებურებების გარკვევას.

Summary

Master's thesis topic: the language of the text - to work on the expressive side of the Vaja - floor exercise works in a basic school. The work consists of three chapters: the first chapter discusses the methodological literature, the Vaja - for floor work. Also, analyzes of the old school repormandeli. National Curriculum and the new school textbooks.

The second chapter discusses, literatura and specific linguistic features of texts on the example of Vazha's artistic language.

The third chapter covers the research. In order to properly study the use of research, both quantitative and qualitative methods. We questioning, confiscated interview teachers and students.

Education reform in Georgian language and literature are taught in integrated schools, language and literature in conjunction with the material was notified.

The text as a linguistic phenomenon, an attitude essential component of the lesson we should use as the text, as the writer's outlook, word art, emotion, and the source of the best way to evaluate someone else's speech.

Different in terms of analyzing the text of the new - a new thought of the text of the rise in students and develops critical thinking skills. The writer's language, observation, and the peculiarities of expression - the study should serve the purpose of the pupils deeply penetrate the art work's ideological content, find the writer's role in the literary language of enrichment in the case, clearly see how the development of language and what role in the case of some dialects, what mimartebaa folk metqvelebasa spoken language and the writer, to reflect changes in the language of public life, how it improved the grammatical structure of language, and so forth.